ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში

1. სტრუქტურა

ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“ შეიქმნა ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 7 დეკემბრის #902 ბრძანების საფუძველზე.

ა (ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“ მუშაობას შეუდგა 2018 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული ორგანიზაცია აერთიანებს მომსახურების რამოდენიმე სფეროს, მათ შორის:

1.ქუჩების დაგვა -დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა (მერიისა და სხა

ადმინისტრაციული შენობების მოვლა პატრონობისა და დალაგების მომსახურება)

2.გამწვანებითი სამუშაოები, სკვერების მოვლა-პატრონობა

3. ქალაქის ქუჩების გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა.
4. უმეთვალყურეოდ დარჩენილი პირუტყვის კონტროლი (აქვე მიუსაფარი ძაღლები)
5. მოსაკრებლის ადმინისტრირების განყოფილება
6. საბინაო ფონდის მოვლა -პატრონობა
7. ქუჩების სარემონტო სამუშაოები
8. სანიაღვრე არხების და სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობა
9. მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა (შეიქმნა 2023 წლის 01 აგვისტოდან)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა -381 კაცს (369 კაცი ძირითადი, 12 კაცი შტატგარეშე)

2. ბიუჯეტი

- ა(ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“-სათვის 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ზემოთხსენებული სამუშაოების და მომსახურებების გასაწევად ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა -5 473 500 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე- 3 756 800 ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 3 756 400ლარი), შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებაზე -184300 (ათვისებულ იქნა -184300 ლარი) , ოფისის ხარჯებზე-89200ლარი (ფაქტიურად ათვისებულ იქნა -85700 ლარი), რბილი ინვენტარის და უნიფორმის შესაძენად -83000 ლ (ათვისებულ იქნა -73000ლარი), ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციაზე და მოვლა-შენახვის ხარჯებზე -533400ლ (ათვისებულ იქნა 512100ლ), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება -767800 ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა -766500ლ), არაფინანსურ აქტივებზე - 34400 ლ (ათვისებულ იქნა 28900 ლარი), მივლინებაზე - 1800 ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა -1300 ლ), სხვა ხარჯებზე (დაზღვევაზე) -5800 ლ (ათვისებულ იქნა -4100 ლარი), სოციალურ უზრუნველყოფაზე (საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება)-16 200ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 12 900ლ), სამედიცინო ხარჯზე -800ლ (ათვისებულ იქნა 800ლ)

სულ 12 თვეში გამოყოფილი 5473500 ლარიდან ფაქტიურად ათვისებულ იქნა (ფაქტიური დაფინანსება) – 5426000 ლარი, ხარჯი შეადგენდა 5 277 794 ლარს

ასევე საწარმოს საკუთარი შემოსავლებიდან გამოყენებულ იქნა -139 300ლარი.

3. შესყიდვები

სამსახური ყველა სახის შესყიდვებს ახორციელებს საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"-ის შესაბამისად. 2023 წლის 12 თვის განმავლობაში ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება 39 მომწოდებელთან -სულ 855 238 ლარზე, გამარტივებული ტენდერით 427 ხელშეკრულება 246 365ლარზე, ხოლო კონსოლიდირებული ტენდერით 27 ხელშეკრულება 458 995ლარზე.

ფაქტიურად 2023 წელს განხორციელდა 797 943ლარის შესყიდვა ელ.ტენდერით, 229443 ლარის შესყიდვა გამარტივებული ტენდერით და 435254 ლარის შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერით, სულ ჯამში განხორციელდა 1462641 ლარის შესყიდვა.

4. უსაფრთხოება

სამსახურის თანამშრომლებისთვის საჭიროებისამებრ შეძენილ იქნა პირადი დაცვის (სპეცტანსაცმელი, სამუშაო ხელთათმანები, სპეცფეხსაცმელი, უსაფრთხოების ქამარი) და ჰიგიენური საშუალებები (საპონი).

ყველა თანამშრომელი თითქმის სრულად არის უზრუნველყოფილი დაკავებული პოზიციის შესაბამისად საჭირო ინვენტარით და მოწყობილობით

ჩატარდა სამუშაოები შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით:

- ინდივიდუალურად ა(ა)იპ-ში შემავალი განყოფილებების ყველა თანამშრომლისთვის ჩატარებულ იქნა და პერიოდულად ტარდება შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, რომელიც ფიქსირდება ყოველკვარტალური ინსტრუქტაჟის ჟურნალებში, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების (2 კაცი) მიერ სისტემატიურად მოწმდება უსაფრთხოების ნორმების დაცვის საკითხი უშაუალოდ თანამშრომელთა სამუშაო ადგილებზე.

5. სამოქმედო გეგმა

სამსახურის ყველა განყოფილება მუშაობას ახორციელებს მოთხოვნა-საჭიროებიდან გამომდინარე შედგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ასევე საწარმოო და საქალაქო აუცილებლობიდან გამომდინარე რეაგირებას ახდენენ ცალკეულ შემთხვევებზე (მოქალაქეთა განცხადებებზე).

ქუჩების გარე განათების, საბინაო ფონდის მოვლა პარტონობის, გამწვანების და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის განყოფილებები ძირითადად მუშაობენ როგორც სპეციალისტების ინსპექტირების შედეგად დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად, ასევე მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული შეტყობინებების (რომელიც ფიქსირდება ყოველდღიურად სპეციალურ ჟურნალებში და ოპერატიულად გადაეცემათ შესაბამის სამსახურებს) მიხედვით.

6. საქმიანი ეზო

ა(ა)იპ-ში ფუნქციონირებს საქმიანი ეზო, რომელიც სხვა განყოფილებებთან ერთად ახორციელებს ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულებას.

სახელდობრ, მ/წლის 9 თვეში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

საქმიან ეზოში-

1. შესრულდა ტერიტორიის მოხრეშვის სამუშაოები
2. მოეწყო ავტოსამრეცხაო
3. ავტოსამრეცხაოში შესრულდა იატაკის მოჭიმვის სამუშაოები
4. საქმიანი ეზოს საამქროში შესრულდა ელგაყვანილობის სამუშაოები
5. საქმიანი ეზოს სასაწყობე კონტეინერებში შესრულდა თაროების (სტელაჟების) მოწყობის სამუშაოები
6. საქმიანი ეზოს ადმინისტრაციული შენობის კორიდორში შესრულდა ელ. გაყვანილობის მოწესრიგების და კოსმეტიკური სამუშაოები
7. საქმიანი ეზოს წინა პერიმეტრზე ახლად გადმოცემული მიწის ნაკვეთის - ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები
8. მოეწყო ახალი სასაწყობე ფართი 360 კვ.მ
9. შეკეთდა ძველი სასაწყობე და დამხმარე ნაგებობები

ქალაქის ტერიტორიაზე-

10. დაზიანებული დასასვენებელი სკამების აღდგენა-შეკეთება-შეღებვის სამუშაოები
11. კაცაძის ქუჩაზე მომხდარი ხანძრის შემდგომ საჭირო სამუშაოების ჩატარება
12. სამეგრელოს ქუჩაზე არსებულ სკვერში რკინის ღობის შედუღება-შეკეთება-აღდგენის სამუშაოები, ბერდიანსკის ქუჩაზე „ბუნგალოს“ და მინი-სტადიონის რკინის კონსტრუქციების და მავთულბადის შედუღება-აღდგენის სამუშაოები
13. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე შუქნიშნების დგარების გაწმენდის და ანტიკოროზიული დამუშავების სამუშაოები

7. გამწვანების სამსახური

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში -2023 წელს ქალაქის მასშტაბით გაითიბა მწვანე საფარი- როგორც ქუჩებში, ასევე სკვერებსა და პარკებში- სულ 3 312 606 კვ.მ (გასული წლის შესაბამის პერიოდში გათიბულ იყო 2 240 738კვ.მ), გაიკაფა 109100 კვ.მ ტერიტორია, მოიჭრა 80 ძირი ხე და შეისხეპა-გაისხლა, გადაიბელა 71 ძირი ხე, დამუშავდა და გატანილ იქნა 237 ძირი ქარისგან წაქცეული და დაზიანებული ხე, გატანილ იქნა ხის ტოტები. ფორმირებულ იქნა 1375 ძირი ხე-მცენარე და ყვავილოვანი ბუჩქი და 525გრძ.მ ბუჩქოვანი ბორდიური, ხეების მოჭრა, გადაბელვა, დამუშავება ხდება ძირითადად მოსახლეობის მოთხოვნა-განცხადების საფუძველზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვით და სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით. დაირგო 49 ძირი პალმა, 55 ძირი მუხა და 43 ძირი კედარი. კირით შეთეთრებულ იქნა 4035

ძირი ხე. ყოველდღიურად წარმოებს სკვერებისა და პარკების დაგვა-დასუფთავება, საჭიროებისამებრ ნარგავების ირგვლივ ნიადაგის შემობარვა და სავალი გზების ფილების ნიჩბებით გაფხეკა-გაწმენდა. განყოფილება კონტროლს უწევს სკვერებსა და პარკებში მოსასვენებელი სკამების შეკეთება-შეღებვის და განათების მოწესრიგების საკითხს

განყოფილების მიერ გაწეული კერძო მომსახურებიდან (განაცხადების საფუძველზე კერძო მფლობელობაში არსებული ტერიტორიების გათიბვა) შემოსული თანხის ოდენობამ შეადგინა 5340 ლარი

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 12 თვეში გამოყოფილ იყო 624 300 ლარი. ფაქტიურმა დაფინანსებამ (საკასო შესრულება) შეადგინა 615 000 ლარი (ხარჯი შეადგენდა 611634 ლ)

8 . ქუჩების დაგვა -დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის განყოფილება

ქალაქის ქუჩების დაგვა/დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სპეცტექნიკით გატანა წარმოებს დამტკიცებული გრაფიკის სრული დაცვით ყოველდღიურად. ხორციელდება 41 ქუჩის (374328კვ.მ ფართი) და სეზონურად მალთაყვის ზღვის სანაპირო ზოლთან მისასვლელი გზის და ზღვის სანაპიროს (50147კვ.მ ფართით) დაგვა-დასუფთავება. გარდა ამისა, სუფთავდება ქალაქში შექმნილი ხელოვნური ნაგავსაყრელებიც. სანაგვე კონტეინერების დაცლა ხდება დღეში 2-ჯერ, საჭიროების შემთხვევაში სრულდება დამატებითი რეისებიც. კარდაკარ შემოვლით მოსახლეობიდან ნაგავი გაიტანება დღეში 1-ჯერ (ერთი და იგივე ქუჩიდან ყოველ მე-2 დღეს)

თვითმცლელების საშუალებით კი ხდება ქალაქის სხვადასხვა უბნიდან საწარმოო, სამშენებლო თუ სხვა სახის ნარჩენების(ხის ტოტები, უვარგისი საოჯახო ავეჯი, ტექნიკა და სხვა) გატანა.

ქალაქში დღეის მდგომარეობით 501 ლოკაციაზე განთავსებულია 765ც სანაგვე კონტეინერი (გასული წლის შესაბამის პერიდში სხვადასხვა ლოკაციებზე განთავსებულ იყო 760ც სანაგვე კონტეინერი.

ქალაქის მუნიციპალიტეტისგან გადმოგვეცა მეეზოვეებისათვის უნიფორმები და სპეციალური სატარებელი ურიკები. ასევე სანაგვე კონტეინერები - 1100 ლიტრიანი - 500ცალი, 120 ლიტრიანი -30 ცალი, 240 ლიტრიანი-50ცალი, ქუჩის ურნები 50 ლიტრიანი-507 ცალი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში პირველად ჩვენი საწარმოს ინიციატივით შედგენილ იქნა სხვადსახვა ლოკაციებზე კონტეინერების განლაგების რუკა შესაბამისი ჯიპიარესის კოორდინატების დატანით. რაც საშუალებას გვაძლევს ნებისმიერ მომენტში გავაკონტროლოთ ჯიპიარესდამონტაჟებული მანქანების გადაადგილებისას, გადიან თუ არა ისინი სრულ ტრაექტორიას და ხომ არა აქვს ადგილი ტექნიკის მომსახურე პერსონალის მიერ ნარჩენებით სავსე კონტეინერების დაუცლელობის ფაქტების დაშვებას.

ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავებას და ნარჩენების შეგროვება-გატანას ემსახურება სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო პარკი, რომელიც ქალაქის ხელმძღვანელობის უშუალო ძალისხმევით ბოლო პერიოდში შევსებული და გაახლებული იქნა, რამაც თითქმის

მთლიანად აღმოფხვრა შეფერხებები და შესაძლებლობა მოგვცა გაგვეხორციელებინა სრულყოფილი მომსახურების გაწევა. დასახელებულ სამუშაოების შესრულებას საწარმო ახორციელებს შემდეგი სახის ტექნიკით:

-სპეციალიზებული მექანიკური დამგველი -(დაგვა და სველი დამუშავება) -1 ერთეული

-სპეციალიზებული ნაგავმზიდები - 8 ერთეული -აქედან 2 ერთეული 2023წელს მიღებული

-სატვირთო ბორტიანი- 7 ერთეული -აქედან 6 ერთეული ახალი (2023წლის)

-თვითმცლელი - 7 ერთეული

-თვლიანი ტრაქტორი -4 ერთეული (ზღვის სანაპირო ზოლის დასუფთავებაზე)- აქედან 3 ერთეული ახალი

-თვითმცლელი მისაბმელი -4 ერთეული -აქედან 3 ერთეული ახალი

-ექსკავატორი -2 ერთეული -აქედან 1 ერთეული ახალი

2023წელს მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიასთან ნარჩენების მართვის ელექტრონულ პროგრამაზე, რომელიც სავარაუდოდ 2024 წლის პირველ ნახევარში გადმოეცემა საწარმოს და მოხდება დანერგვა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება კონტროლის გაწევა ქალაქის დასუფთავებასა და ნარჩენების გატანაზე ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ლოკაციაზე.

განყოფილება მომსახურებას უწევს ასევე კერძო კომპანიების (16 ერთეული) მოთხოვნის საფუძველზე მათ ტერიტორიაზე დამატებით დადგმულ სანაგვე კონტეინერებს (30ცალი). აღნიშნული მომსახურებიდან 2023 წლის 12 თვეში შემოსულია 88737 ლარი.

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2023 წლის 12 თვეში გამოყოფილი იყო 1 956 100 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ-საკასო შესრულება- შეადგინა 1 946 400ლ (ხარჯი შეადგენდა 1 854 142ლარს)

9.საბინაო ფონდი

საბინაო ფონდის და მოვლა-პატრონობის განყოფილება ძირითადად სამუშაოებს აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული განცხადება-შეტყობინებების საფუძველზე (რომელიც ყოველდღიურად ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში) და სისტემატიურად კონტროლდება შესრულების მიმდინარეობაც. ყოველთვიურად წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოების ნუსხას თან ერთვის ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ სამუშაოების ნამდვილად შესრულების დამადასტურებელი აქტები სხვადასხვა უბნებში. მ/წლის იანვარ-დეკემბრის პერიოდში შემოსულია 770 წერილობითი განაცხადი, რომელთაგან 766 დაკმაყოფილებულია და 4- შესრულების პროცესშია. გარდა შემოსული განცხადებებისა სამსახურის მიერ სისტემატიურად ხდება საცხოვრებელი მასივების ტერიტორიების დათვალიერება- ინსპექტირება და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული რეაგირება. ძირითადად შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: ეზოებში საკანალიზაციო ჭების, ამონიჩბვის ორმოების და საერთო სარგებლობის საპირფარეშოების გაწმენდა სპეცმანქანით,

სარდაფებში, ეზოებში და სადარბაზოებში საკანალიზაციო ქსელის შეცვლა, გასუფთავება, მონტაჟი და სხვა. სახელდობრ:

1. გაიწმინდა საკანალიზაციო ქსელი და ჭები -- 448 ს/სახლში , 1 ცალი - მუნიციპალიტეტის მერიაში, 5 ცალი - ადმინისტრციულ შენობაში, 1 ცალი - სკ.ს. დაწესებულებაში, 1ცალი კულტურის სახლში, 1 ცალი ცენტრალურ სტადიონზე
2. ეზოებში გაიწმინდა ს/სარგებლობის საკანალიზაციო ამონიჩბვის ორმოები - 221ცალი, მათ შორის - 34 ცალი - 34 ს/სახლში - 3 ცალი N1 საჯარო სკოლაში, 10 ცალი - ქალაქის მუნიციპალიტეტში, 3 ცალი - სკ.ს. დაწესებულება და 171 - კერძო მომსახურეობა- ბავშვთა ცენტრი , შპს ლოჯისტიკა, შპს „აიდისი“ და კერძო სახლები. სულ კერძო მომსახურებისას შესრულდა 134 რეისი და შემოსული თანხის რაოდენობამ შეადგინა 6352 ლარი.
3. ეზოში გაიწმინდა საერთო სარგებლობის საპირფარეშო - 6 ცალი - 6 ს/სახლში
4. ეზოში დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა - 161,5 მეტრი – 20 ს/სახლში და ადმინისტრაციულ შენობაში
5. ეზოში აღდგენილ იქნა დაზიანებული საკანალიზაციო სისტემა - 2 ს/სახლში
6. ეზოში შეკეთდა დაზიანებული საკანალიზაციო სისტემა - 2 ს/სახლში
7. ეზოში დამონტაჟდა ფასონური ნაწილები - 31 ცალი - 15 ს/სახლში და ადმინისტრაციულ შენობაში
8. ეზოში დამონტაჟდა საწვიმარი სისტემა - 10,5 მეტრი - 1 ს/სახლში
9. ეზოში აშენდა და მოპირკეთდა საკანალიზაციო ჭები - 6 ცალი - 5 ს/სახლში
10. ეზოში შეკეთდა და მოპირკეთდა საკანალიზაციო ჭები - 24 ცალი, მათ შორის - 23 ცალი - 15 ს/სახლში და 1 ცალი - მუნიციპალიტეტის მერიაში
11. ეზოში დამონტაჟდა საკანალიზაციო ჭის რკინა ბეტონის თავსახურები - 17 ცალი - მათ შორის 16 ცალი - 13 ს/სახლში და 1 ცალი მუნიციპალიტეტის მერიაში
12. ეზოში შეკეთდა საერთო სარგებლობის საკანალიზაციო ამონიჩბვის ორმო - 2 ცალი - 2 ს/სახლში
13. ეზოში დამონტაჟდა საკანალიზაციო ჭის პლასტმასის ლუქი - 5ცალი 1 ს/სახლში
14. ეზოში მოისხა ბეტონის საფარი - 29 ს/სახლში
15. ეზოში დაიშალა საკანალიზაციო სისტემა, დასუფთავდა და აეწყო - 1 ს/სახლში
16. სარდაფიდან ეზოს საკანალიზაციო ჭამდე გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა - 4 ს/სახლში
17. სარდაფიდან ეზოს საკანალიზაციო ჭამდე გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა ლითონის ჩხირით - 1 ს/სახლში
18. სარდაფიდან ეზოს საკანალიზაციო ჭამდე აღდგენილ იქნა დაზიანებული საკანალიზაციო სისტემა - 1 ს/სახლში
19. სარდაფიდან ამოიტუმბა წყალი და ფეკალური მასა - 9150 $მ^3$ - 41 ს/სახლში
20. სარდაფიდან ეზოს საკანალიზაციო ჭამდე დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა - 83 მეტრი - 12 ს/სახლში
21. სარდაფში დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა - 277 მეტრი – 56 ს/სახლში
22. სარდაფში დამონტაჟდა ფასონური ნაწილები - 384 ცალი - 76 ს/სახლში
23. სარდაფში დაიშალა საკანალიზაციო სისტემა, დასუფთავდა და აეწყო - 58 ს/სახლში
24. სარდაფში დამონტაჟდა საწვიმარი სისტემა - 50,3 მეტრი – 6 ს/სახლში
25. სარდაფში დაიშალა საწვიმარი სისტემა, დასუფთავდა და აეწყო - 1 ს/სახლში
26. სადარბაზოში გამოიცვალა საწვიმური სისტემის ფასონური ნაწილი 1 ცალი -1 ს/სახლში

27. სადარბაზოდან ეზოს საკანალიზაციო ჭამდე გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა ლითონის ჩხირით -1 ს/სახლში
28. სარდაფიდან ქუჩის არხამდე გამოიცვალა საკანალიზაციო სისტემა 19 მ-1ს/სახლში
29.სართულებსშუა ეზოს საკანალიზაციო ჭამდე დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა - 23 მეტრი - 2 ს/სახლში
30. სართულებსშუა დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა - 81 მეტრი – 15 ს/სახლში
31. სართულებსშუა დამონტაჟდა ფასონური ნაწილები - 110 ცალი - 20 ს/სახლში
32. სართულებსშუა დაიშალა საკანალიზაციო სისტემა, დასუფთავდა და აეწყო - 5 ს/სახლში
33. სართულებსშუა გაიწმინდა გაჭექილი საკანალიზაციო სისტემა ლითონის ჩხირით -1 ს/სახლში
34. სართულებსშუა სარდაფამდე დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა -4 მ -1 ს/სახლში
35. სართულებსშუა ეზოს ჭამდე დაიშალა საკანალიზაციო სისტემა, დასუფთავდა და აეწყო - 1 ს/სახლში
36. შიდა წყლის სისტემა დამონტაჟდა - 8 მეტრი - მუნიციპალიტეტის მერია (საკრებულო)
37. შიდა წყლის სისტემის ფასონური ნაწილები დამონტაჟდა - 41ცალი - მუნიციპალიტეტის მერია (საკრებულო), მალთაყვის ზღვის სანაპირო, ადმინისტრაციული შენობა
38. გარე წყლის სისტემა დამონტაჟდა 27მ- მალთაყვის მუნიციპალიტეტის სპორტული მოედნის მიმდებარედ
39. გარე წყლის სისტემის ფასონური ნაწილები დამონტაჟდა -19 ცალი -მალთაყვის მუნიციპალიტეტის სპორტული მოედნის მიმდებარედ
40. ს/ბინიდან საკანალიზაციო ჭამდე დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა - 4 მეტრი - 1/სახლში
41. წყალსაწრეტი სისტემის ძაბრი გამოიცვალა - 22 ცალი - 12 ს/სახლში
42. წყალსაწრეტი სისტემის ღარი გამოიცვალა - 366 მეტრი - 27 ს/სახლში
43. წყალსაწრეტი სისტემის მილები გამოიცვალა - 254 მეტრი - 25ს/სახლში
44. წყალსაწრეტი სისტემის ფასონური ნაწილები გამოიცვალა - 76 ცალი - 20 ს/სახლში
45. თუნუქის ფურცელი გამოიცვალა - 26 $მ^2$ – 3 ს/სახლში
46. გამომშრალი ხის მასალა გამოიცვალა - 15 ცალი - 1 ს/სახლში
47. წყალსაწრეტი სისტემის ღარის სამაგრი გამოიცვალა -40 ცალი- 3ს/სახლში

2023წლის 12 თვეში კერძო მომსახურების გაწევიდან (შემოსული განაცხადების საფუძველზე ამონიჩბვის ორმოების გაწმენდა) შემოსული თანხის ოდენობამ შეადგინა 8378 ლარი

დასახელებული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2023 წელს გამოყოფილ იყო 295 800 ლარი, ფაქტიური დაფინანსება-საკასო შესრულება- შეადგენდა 293 700 ლარს. (ხარჯი შეადგენდა 289 869 ლარს)

10. **გარე განათება**

ქუჩების გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის განყოფილება ემსახურება ქალაქში არსებულ 6500 განათების წერტილს და ძირითადად სამუშაოებს აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული განცხადება-შეტყობინებების საფუძველზე (რომელიც ყოველდღიურად ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში). 2023 წლის 12 თვეში დაფიქსირებული გვაქვს 112 შეტყობინება, მაგრამ სამუშაოები ძირითადად ხორციელდებოდა სპეციალისტების მიერ

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დაზიანებების აღმოსაფხვრელად. ძირითადად ხორციელდებოდა შემდეგი სამუშაოები: საჭიროებისამებრ გარე განათების სანათების შეცვლა, პროჟექტორებისა და ელექტრო-გამანაწილებელი კარადების შეკეთება/შეცვლა, დაზიანებული ლითონის ბოძების აღდგენა ან ახლით შეცვლა, სადენების შეერთების შემოწმება, კაბელის იზოლაციის წინაღობების შემოწმება, კაბელის დაზიანებული ნაწილების შეცვლა, ქსელში ძაბვისა და დატვირთვის შემოწმება, დენკვეთების დარეგულირება, კონტაქტორების დარეგულირება-შეცვლა, დამჭერების გადაჭერა, ფოტო-რელეების რეგულირება -შეცვლა და სხვა. გარდა განცხადება-შეტყობინებებისა სამუშაოები ასევე ხორციელდება სპეციალისტების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დაზიანებების აღმოსაფხვრელად.

12 თვეში გამოცვლილ იქნა:

-დროსელი -16 ც

-მაგნიტური გამშვები -14ც

-ეკონათურა-280ც

-ელ.კაბელი 1494 გრძ.მ

-ელ.სადენი -1021გრძ.მ

-კაბელის სამაგრი სიპჩამჭერი -499ც

-ელ.გამთიშველი-71ც

-ელ.ავტომატი-5ც

-ლედის სანათის ჩიპი-133ც

-ლედის სანათის დრაივერი-192ც

-ელ.ვაზნა-37ც

-სანათი წერტილოვანი ოთხკუთხედი-67

-ლედსანათი ოვალური-11

განათების ბურთი -55ც

გოფრირებული მილი 50მმ -307მ

ლედის სანათი -35

კაბელის სამაგრი ჩამჭერი -303

ელ.როზეტი -5

შუალედური კაბელის სამაგრი ჩამჭერი -199

ლითონის მილი-14მეტრი

ლედის პროჟექტორი-20

პროჟექტორის კვების ბლოკი-105

გარე განათების სანათის პლატა-44

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2023 წლის 12 თვეში გამოყოფილი იყო 316 300 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 309 500ლარი, (ხარჯი შეადგენდა 321 434ლარს)

11. **მოსაკრებელის ადმინისტრირების განყოფილება**

31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი ხელშეკრულებების რაოდენობაა 862. დაანგარიშდა დავალიანებები ფიზიკური პირების (ადრე არსებული ბაზის გამოყენებით), დაანგარიშების პროცესი და ბაზის განახლება -ცვლილებები მიმდინარეობს ამ ეტაპისთვისაც.

აბონენტად დარეგისტრირებულ მოქალაქეებს საკუთარი სააბონენტო კოდის გამოყენებით შეუძლიათ მათზე რიცხული დავალიანების ნახვა ყველა გადახდის აპარატში, ბანკებსა და მათზე მიბმულ სპეციალიზირებულ ინტერნეტ პროგრამებში და შესაბამისად გადასახადის გადახდაც, რაც გარკვეულ წილად სერვისსაც აუმჯობესებს და გვაქვს პროგნოზი თანხების შემოსულობების ზრდის ტენდენციისაც.

განყოფილების წლიური გეგმა (ამოსაღები თანხა) არის 609100 ლარი. განყოფილების მიერ მ/წლის 12 თვეში ამოღებულ იქნა 721292 ლარი და ზრდამ წინა წელთან შედარებით პროცენტულად შეადგინა 16,7% -გასული წლის შესაბამის პერიოდში ამოღებულ იყო 617941 ლარი. ამოღებული თანხიდან ფიზიკური პირებზე მოდის 81527,74 ლარი, ხოლო იურიდიულ პირებზე 639520,32 ლარი. არაიდენტიფიცირებულია -244 ლარი.

შესაბამისი განყოფილების მუშაკები აქტიურად თანამშრომლობდნენ უბნების მუნიციპალიტეტებთან და მათი მეშვეობით მოსახლეობასთან. შედარება-მოძიების შედეგად ზუსტდება ფიზიკური პირების-აბონენტთა რაოდენობა და სულადობები. დღევანდელი მდგომარეობით დარეგისტრირებულია 16470 აბონენტი და 32710 სულადობა. თუმცა აღნიშნულის გადამოწმება-დაზუსტება კვლავ გრძელდება, რათა ადგილი არ ექნეს გაორებას. აბონენტთა ტელეფონის ნომრების დაზუსტებამ შესაძლებლობა მოგვცა სისტემატიური კომუნიკაციები დაგვემყარებინა და გვეკონტროლებინა დავალიანების მქონე აბონენტებიდან თანხების ამოღება. ამის შედეგია ის, რომ 2023წელს ფიზიკური პირებიდან ამოღებული თანხა 2,5-ჯერაა გაზრდილი (გასულ წელს იყო 32271 ლ)

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსთა ასოციაციამ 2023 წელს დაასრულა მუშაობა მოსაკრებლის ადმინისტრირების ელექტრონულ პროგრამაზე და 2024 წლიდან დაინერგება ჩვენს ორგანიზაციაში, რაც განყოფილების სპეციალისტების მიერ შესაბამისი მონაცემების შეყვანის შემდეგ ავტომატურად დარიცხავს აბონენტთა გადასახდელ თანხას, დაიანგარიშებს დავალიანებას და გააგზავნის სმს შეტყობინებებს ადრესატებზე .

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2023 წლის 12 თვეში გამოყოფილი იყო 132 200 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 131 900 ლარი (ხარჯი შეადგენდა 132 349 ლარს)

12.უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების კონტროლის განყოფილება

2023 წლის 12 თვეში უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების კონტროლის განყოფილების თანამშრომლები ძირითადად მუშაობდნენ ქალაქის მასშტაბით აკრძალული ტერიტორიებზე მოხეტიალე ცხოველების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებების უზრუნველყოფაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სისტემატიური მონიტორინგისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შედეგად მოხეტიალე პირუტყვის ქალაქში დაფიქსირების შემთხვევების რაოდენობამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად იკლო.

სულ 12 თვეში დაფიქსირებულ იქნა ქალაქში უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების ხეტიალის 78 შემთხვევა. ყველა შემთხვევაში იზოლირებული პირუტყვის მეპატრონეებთან გაფორმდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 78 ოქმი 125 სულ საქონელზე. მეპატრონეების მიერ ჯარიმის თანხა 2930 ლარი - შეტანილ იქნა ხაზინის ანგარიშზე, ხოლო პირუტყვის გადაყვანის და მოვლა-შენახვის თანხა 5970 ლარი შემოტანილ იქნა საწარმოს ანგარიშზე.

ა(ა) იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრსა და ინდ.მეწარმე „ლერი ჩხარტიშვილს“ შორის 2022 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული #621 ხელშეკრულების საფუძველზე 2023 წლის იანვარ-დეკემბრის პერიოდში განხორციელდა ქალაქიდან 360 ერთეული მიუსაფარი ძაღლის დაჭერის, თავშესაფარში გადაყვანის და თანმდევი სამედიცინო მომსახურების(იდენტიფიკაცია საჭდით, დეჰელმენტიზაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია) გაწევა და კვლავ პირვანდელ ლოკაციაზე დაბრუნება

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2023 წლის 12 თვეში გამოყოფილი იყო 228 800 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ -საკასო შესრულება- შეადგინა 226 300ლარი, (ხარჯი შეადგენდა 235 550ლარს)

13.ქუჩების სარემონტო სამუშაოების განყოფილება-

2023 წლის 12 თვეში სხვადასხვა ლოკაციებზე- სულ 73 ქუჩაზე დაყრილ იქნა 2235,9$მ^3$ ხრეში (ღორღი)

ასევე ქალაქის მასშტაბით 110 ქუჩაზე დაგრეიდერდა 437178$მ^2$ გზის საფარი

გარდა ამისა განყოფილების მიერ შესრულებულ იქნა სხვადასხვა სახის სამუშაოები:

- საქმიანი ეზო-ახალი საწყობის მშენებლობის სამუშაოები-
- საცხოვრებელი ბინების დაზიანებული სახურავების შეკეთება-გამაგრება საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის განყოფილებასთან ერთად
- ქალაქის მასშტაბით ძლიერი სტიქიის შედეგად დაზიანებული და წაქცეული ხეებისგან ტერიტორიის დასუფთავება-
- სტიქიის შედეგად დაზიანებული ქალაქის მთავარი ნაძვის ხის შეკეთება-
- ეპარქიის სახურავის შეკეთება-

- სტიიქიის შედეგად დაზიანებული ჭავჭავაძის ქუჩა #14-ში მდებარე სააღმზრდელო დაწესებულების სახურავის შეკეთება
- აღმაშენებლის #54- შენობის წინ სტანდარტული ზომის საგზაო ნიშნის მონტაჟი
- სტიქიის შედეგად დაზიანებული მე-3 საჯარო სკოლისა და 9აპრილის #20 საცხოვრებელი ბინის სახურავების დამტვრეული საფარისგან გასუფთავება
- დაზიანებული საგზაო ნიშნების აღდგენა-
- ეპარქიის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ღობის აღდგენა-
- საბინაო განყოფილებასთან ერთად საცხოვრებელ ბინებში, სკოლებში და სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში საწვიმური სისტემის გაწმენდა- შეკეთება-
- ქალაქის მასშტაბით სტიქიის შედეგად დაზიანებული საფეხმავალო ბილიკების გაწმენდა-
- დაზიანებული საგზაო ნიშნების აღდგენა
- დაზიანებული სავენტილაციო მილის შეკეთება-
- საბუხრეების შეფუთვა
- სახურავის პარაპეტის შეკეთება ნაწილობრივ-
- საწვიმარი სისტემის აღდგენა-გაწებვა- გამოცვლა
- საფეხმავლო გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან-
- №12 საჯარო სკოლის კიბის დაზიანებული უჯრედების აღდგენა-
- კუნძულის სანაპირო ზოლზე დაზიანებული საფეხმავალო გზის შემოღობვა უსაფრთხოების ლენტით-
- ახალგაზრდობის ქუჩაზე ამკრძალავი ნიშნის მონტაჟი-
- აღმაშენებლის №54- ეზოს დაზიანებული შესასვლელი კარის აღდგენა-
- 9 აპრილის მემორიალის შეღებვა
- საზ.ტრანსპორტის მოსაცდელის სახურავის გამოცვლა
- ხიდის ბორდიურების და მოაჯირების შეღებვა
- შუქნიშნის ბოძების შეღებვა
- დიდების მემორიალის მონუმენტის შეღებვა
- მემორიალის ტერიტორიაზე დაზიანებული ღობის შეკეთება-შედუღება
- მალთაყვის ზღვის სანაპიროზე სათვალთვალო კოშკურის შეკეთება
- დაზიანებული ბუნგალოების შეკეთება-შეღებვა

აღნიშნულ განყოფილებაზე 2023წელს გამოყოფილი იყო 512 400ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 511 500 ლარი (ხარჯი შეადგენდა 495 215ლარს)

14. სანიაღვრე არხებისა და სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობა

ყოველი თვის დასაწყისში ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ ყველა სატუმბი სადგურის შემოვლა-დათვალიერება, გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა. სატუმბ სადგურებზე გრაფიკის შესაბამისად წარმოებდა მორიგეობა. ხორციელდებოდა სატუმბი აგრეგატების, საკონტროლო მზომი სასიგნალო მოწყობილობების, ძალოვანი ტრანსფორმატორების, მართვის ფარების და გამშვები აპარატურების მუშაობაზე მუდმივი მეთვალყურეობა ექსპლუატაციის დადგენილი ნორმებით. ყოველდღიური მორიგეობის შესახებ ჩანაწერები შეიტანება სპეციალურ ჟურნალებში.

კოსტავას ქუჩა #189-ში მდებარე სატუმბ სადგურში შესრულდა #2 75 კვტ-იანი ტუმბოს პროფილაქტიკური სამუშაოები, შეკეთდა 2 ცალი რკინის ჭიშკარი, განხორციელდა ძველი კონტაქტორის ჩანაცვლება ახლით

კრატასიუკის ქუჩა #68-ში მდებარე სატუმბ სადგურში შესრულდა #I და II 75 კვტ-იანი ტუმბოს პროფილაქტიკური სამუშაოები, მოხდა ავტომატური ამომრთველის AM 3-250L-დემონტაჟი და 3P-630 BENTONG ამომრთველის მონტაჟი

შავი ზღვის ქუჩა #68-ში მდებარე სატუმბ სადგურში შესრულდა #1 75 კვტ-იანი ტუმბოს პროფილაქტიკური სამუშაოები, ავანკამერაზე მოეწყო მოაჯირები

ნ.ნიკოლაძის სანაპიროზე #4-ში მდებარე სატუმბ სადგურში შესრულდა 110 და 37 კვტ-იანი ტუმბოების პროფილაქტიკური სამუშაოები, სატუმბ სადგურში არსებულ ცხაურებთან მოეწყო მოაჯირები, დაყენდა 50 ვატიანი გერმეტიული გარე სანათი.

მშვიდობის ქუჩა #109-ში მდებარე სატუმბი სადგურის თვითდენითი არხის ჩამკეტ ფარზე მოხდა 2ტონიანი მექნიკური ტალის დემონტაჟი და დამონტაჟდა ახალი ტალი. ამავე სადგურში შეიცვალა თვითდენითი არხის ჩამკეტი ფარის ელექტროტალის ტროსი 8მმ-იანი - 15 მეტრი

მშვიდობის ქუჩა #113-ში მდებარე სატუმბ სადგურში დამონტაჟდა 100 ამპერიანი ავტომატური ამომრთველი. ასევე მოხდა 2ცალი 50ვატიანი წერტილოვანი ოთხკუთხედი ელსანათის დამონტაჟება, გადაიხურა არსებული ცხაურები და მოეწყო მოაჯირები.

ბესიკის ქუჩა #27-ში მდებარე სატუმბ სადგურში წყლის გამშვებ ფარზე მოეწყო მოაჯირები

გაითიბა და მოწესრიგდა სატუმბი სადგურების მიმდებარე ტერიტორიები

2023 წლის 12 თვეში ამოწმენდილ იქნა სანიაღვრე არხები 202106 გრძივი მეტრი.

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2023წელს გამოყოფილი იყო 857 500 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 843 400ლ (ხარჯი შეადგენდა 827614ლარს)

15.მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა (შეიქმნა მ/წლის 01 აგვისტოდან)

ქალაქში არსებობს 37 მინი სპორტული მოედანი , რომელსაც საკმაოდ აქტიურად იყენებენ ახალგაზრდები თავისუფალი დროის ნაყოფიერად გასატარებლად. აღნიშნული რაოდენობიდან ქალაქის ხელმძღვანელობის ძალისხმევით 12 ერთეულს ჩაუტრდა კაპ.რემონტი, ხოლო დარჩენილი -25 ერთეულის მოვლა-პატრონობისთვის, პროგრამის ფარგლებში ჩვენს ორგანიზაციას გამოეყო ფინანსები აუცილებელი სამუშაოების ჩასატარებლად. კერძოდ, ორგანიზაციამ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოავლინა-დააზუსტა სპორტულ მოედნებზე შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა, რომლის შესაბამისადაც 2023 წლის აგვისტო-დეკემბრის პერიოდში შეასრულა შემდეგი სამუშაოები: ღობის ლითონის მავთულბადის და ხელოვნური მწვანე საფარის დაზიანებული ნაწილების გამოცვლა, შეღებვის სამუშაოები, მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით მოედნის შიგა ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ბოძები გადატანილ იქნა გარე პერიმეტრზე (სადაც არ იყო დამონტაჟდა-მოეწყო გარე განათება), შეკეთდა და შეიღება სპორტული

მოედნების კარებები, გამოიცვალა ფეხბურთის კარების და კალათბურთის ფარების ბადეები. დასუფთავდა და მოწესრიგდა მოედნის ტერიტორიები და სხვა

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2023წლის აგვისტო-დეკემბრის პერიოდში გამოყოფილი იყო 62 800 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 62 500ლ (ხარჯი შეადგენდა 37 034ლარს)

16. ადმინისტრაციაზე 2023წელს გამოყოფილი იყო 487 300ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 485 900 ლარი (ხარჯი შეადგენდა 460 548ლარს)

საქმიან ეზოში საწყობის შენობის შეკეთების და ეზოს მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვაზე გაწეული ხარჯი -12405 ლარი

სულ 2023 წელს გეგმით გათვალისწინებულ იყო 5 473 500ლარი. ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 5426100ლ (ხარჯი შეადგენდა 5 277 794 ლარს)

2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება იყო 15 344 ლ, კრედიტორული დავალიანება -48 614 ლარი, მატერიალურ ფასეულობათა ნაშთი საწყობში და განყოფილებებში -832 335 ლარი

არსებული პრობლემები და ინიციატივები

ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ გადმოცემული სპეცტექნიკის მუშაობის პროცესში აქტიური ჩართვით მოგვარებულ იქნა საწარმოში არსებული პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი, რის შედეგადაც აღმოიფხვრა შეფერხებები და ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა ხორციელდება სრულყოფილად.

თუმცა ჯერ-ჯერობით დიდი თანხები იხარჯება ისეთი სპეც. ტექნიკის იჯარაზე, როგორებიცაა ამწე-კალათა 12 და 22 მეტრიანი, ავტო-ამწე და ავტო გრეიდერი. კარგი იქნება თუ მომავალში ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ორიენტირებას გააკეთებს აღნიშნული ტექნიკის შესყიდვაზე რითაც მომდევნო წლებში დაიზოგება საბიუჯეტო თანხები

ასევე სასურველია 1 ერთეული სპეციალიზებული ასენიზაციის მანქანის და მაგისტრალური არხების გასაწმენდად სპეციალიზებული ექსკავატორის ე.წ. „წერო“-ს შეძენა.

პრობლემაა სპეცტექნიკის (ტრაქტორი და სხვა) მძღოლების, ელექტრიკოსის და სხვადასხვა კატეგორიის სპეციალისტების და მუშების მაღალკვალიფიციური და სერტიფიცირებული კადრების მოზიდვა, რადგან კერძო სექტორში დასაქმებულ შესაბამის პოზიციებზე ხელფასები ბევრად მაღალია, ვიდრე ჩვენთან. აღნიშნულიდან გამომდინარე 2024 წლიდან იგეგმება დასახელებულ პოზიციებზე თანამდებობრივი სარგოების გაზრდა

სერვისების ცენტრის დირექტორი ლ. გუნიავა